

899.962-1(09)

ლ-737

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

რუსუდან ომარის ასული ღლონტი

“დავითიანის” მიმართება  
“დავითნთან”

სპეციალობა – 10.01.01. ქართული ლიტერატურა

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი  
1999

ნაშრომი შესრულებულია სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

მეცნიერ-ხელმძღვანელი: რევაზ სირაძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ექსპერტი: ლევან მენაბდე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები:

1. ნესტან სულავა – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
2. ლაურა გრიგოლაშვილი – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

წამყვანი ორგანიზაცია – ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი

დისერტაციის დაცვა შედგება 1999 წლის "21" მაისს "15" საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს P.10.01.6N2 სხდომაზე.


მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, 1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 1999 წლის "20" აპრილს

სადისერტაციო საბჭოს  
სწავლული მდივანი:  
ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

წოდარ ტაბიძე



### ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**თემის აქტუალობა.** ბიბლია, განსაკუთრებით, დავით წინასწარმეტყველის "დავითნი", დავით გურამიშვილისთვის შთამაგონებლად ქცეულა და მის პოეზიაში ფსალმუნებსაც თავისებური იერსახე მიუღიათ. "დ.გურამიშვილისთვის სწორედ ფსალმუნთა ავტორია უმაღლესი პოეტური იდეალი, მეორე პოეტური "მე" (რ.სირაძე).

"დავითიანის" "დავითთან" მიმართება, მართალია, სათანადოდაა გამოკვლეული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ ინტერესი ამ საკითხისადმი დღითი დღე იზრდება, რადგან "დავითნი" "დავითიანის" საფუძველთა საფუძველია. ტექსტობრივი თანხვედრის, თემატიკის განმეორებისა და იდენტური სიმბოლოების გარდა, მათი მსგავსება განისაზღვრება სულიერი ნათესაობით, პოეტური განწყობილებითა და საერთო აღმსარებლობითი ინტერესებით.

თხზულებათა კრებულზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ "დავითნის" პირველი ფსალმუნის თავისებური ინტერპრეტაცია დავით გურამიშვილს "დავითიანის" პირველი წიგნის პირველსავე ლექსში შეაქვს (მას წინ მხოლოდ "ამ წიგნთა გამლექსავის გვარისა და სახელის გამოცხადება" უძღვის). ნიშანდობლივია, რომ "დავითნის" უკანასკნელ ფსალმუნსაც იგი "დავითიანის" უკანასკნელ ლექსში ათავსებს. ზემოთქმული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ "დავითიანისთვის" სწორედ "დავითნია" ამოსავალი.

**პრობლემის შესწავლის დონე.** "დავითიანის" "დავითთან" მიმართება გაანალიზებული აქვთ: კ.კეკელიძეს, ს.ცაიშვილს, რ.სირაძეს, რ.ბარამიძეს, ტ.მოსიას, მ.ღალანძიძეს, გ.მურღულიას, ი.ამირხანაშვილს, ლ.დათაშვილსა და სხვა მკვლევრებს; რაც ნაშრომის შესავალში არის კიდევ შეჯერებული. აღსანიშნავია, რომ დავით გურამიშვილის მიერ დავით წინასწარმეტყველისადმი მიძღვნილი ოთხი "შესხმა" თუმცა მკვლევართა ყურადღების ცენტრშია, მაგრამ მათი სისტემატური შესწავლის ცდა აქამდე არ განხორციელებულა. დ.გურამიშვილის პოეზია თავისი მრავალნახნაგოვანი პრობლემატიკით მეტად რთული ფენომენია, მოიცავს საკითხთა ფართო "ფსალმუნურ" წრეს, რომელთაგან ზოგიერთი არ არის გაშუქებული, ზოგიც ახლებურად მიდგომას ან გაღრმავებას საჭიროებს.